




ავტორები: სოფიო მკერვალიძე, გიორგი ნებულიშვილი, დავით კეშელავა

სექტორული ცვლილებებისა და ვალუტის სტაბილურობის ფონზე მშპ-ის ძლიერი ზრდა



მოკლე მიმოხილვა

საქსტატის წინასწარი შეფასების თანახმად, 2024 წლის მეორე კვარტალში საქართველოს ნომინალური მშპ 22,101.7 მლნ ლარს შეადგენდა, მშპ-ის ზრდის წლიური მაჩვენებელი 9.6%, ხოლო მშპ-ის დეფლატორი – 2.5% იყო. ეს ზრდა სხვადასხვა სექტორში დამატებული ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდით იყო განპირობებული: მასპინძლობასთან და კვებით სექტორთან დაკავშირებული საქმიანობა გაიზარდა 35.7%-ით, განათლება – 21.3%-ით, შინასამეურნეო საქმიანობა, როგორცაა დამსაქმებლებისა და მწარმოებლების მიერ პირადი მოხმარებისათვის საქონლის წამოება და მომსახურებების გაწევა – 17.3%-ით, ტრანსპორტირება და სასაწყობო საქმიანობა – 16.1%-ით, საჯარო ადმინისტრირება და თავდაცვა, მათ შორის სოციალური უსაფრთხოება – 13.3%-ით, მშენებლობა – 13%-ით. აღნიშნულის საპირისპიროდ, დამატებითი ღირებულება შემცირდა შემდეგ სექტორებში: ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და ჰაერის კონდიცირება (-6,3%-ით), მომსახურების სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობა (-1.4%-ით). მშპ-ის ყველაზე დიდი წილი საბითუმო და საცალო ვაჭრობამ შეადგინა (15%), რასაც მოჰყვება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა (9.8%), საწარმოო საქმიანობა (9.1%), მშენებლობა (8.4%), საჯარო მმართველობა (7.4%), სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, თევზჭერა (7.2%) განათლება (6%), სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებები (5.9%), ინფორმაციული და საკომუნიკაციო საქმიანობა (5.9%) და ფინანსური და სადაზღვევო საქმიანობა (5.9%) და ფინანსური და სადაზღვევო საქმიანობა (5.1%). საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზის თანახმად, 2024 წელს მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 6.8%-ს შეადგენს, რაც მცირედით ჩამორჩება



საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ პროგნოზირებულ 5.7%-ს (გრაფიკი 1).

2023 წელს, საქართველოს ეკონომიკური ზრდა მეტწილად გაზრდილი ადგილობრივი მოთხოვნით იყო განპირობებული. საგარეო მოთხოვნა კი შემცირდა, რამაც გაზრდილი მიგრაციით გამოწვეული ეფექტის შემცირების გამო, უარყოფითი ზეგავლენა იქონია მეოთხე კვარტალში ზრდის მაჩვენებელზე. გასულ წელს გაზრდილმა მიგრაციამ ტურისტულ სექტორში არსებული შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია, მომსახურებების ექსპორტი კი 87.9%-ით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავალი 2023 წელს საბაზო ეფექტის და მიგრანტების რაოდენობის შემცირების გამო შემცირდა. თუმცა ეკონომიკის დარგში არსებულმა მიმდინარე სტრუქტურულმა ცვლილებებმა (განსაკუთრებით მშპ-ის მაჩვენებელში ინფორმაციული და კომპიუტერული მომსახურებების ექსპორტის წილის 0.4%-დან 2.6%-მდე ზრდამ) ხელი შეუწყო კლებით გამოწვეული შედეგის დაბალანსებას და ეკონომიკის საერთო პოტენციალის ზრდას.

2024 წლის მეორე კვარტალში, გასულ წელთან შედარებით ლარი გამყარდა, რაც ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსის მაღალი ზრდით იყო განპირობებული. თუმცა აღნიშნული საქართველოში არსებული სამომხმარებლო ფასების შედარებით დაბალი ინფლაციით დაკომპენსირდა, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას. ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის გამყარება მიმდინარე ანგარიშის სტრუქტურაში სიღრმისეული ცვლილებებითა და არა მოკლევადიანი ეკონომიკური ციკლებით იყო განპირობებული. ეს ცვლილებები 2022 წელს, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდეგ დაიწყო და საქართველოდან მომსახურებების ექსპორტის ზრდაში, უმეტესად ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტრანსპორტირების სექტორებში, გამოიხატა. ამასთან, ქვეყნის სტრატეგიულმა, სატრანზიტო ჰაბის პოზიციამ, სატრანსპორტო და ლოგისტიკური მომსახურებების ზრდა გამოიწვია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შესაძლოა ლარის კურსი მნიშვნელოვანი გაუფასურების გარეშე დასტაბილურდეს.

საქართველოს მკაცრმა მონეტარულმა პოლიტიკამ ინფლაციასთან დაკავშირებული მოლოდინების შემცირება გამოიწვია, შედეგად კი, ადგილობრივი ინფლაციის მაჩვენებელი სამიზნე მაჩვენებელს ჩამორჩება. აღნიშნული კლება მომსახურების ფასების შემცირებითა და უკანასკნელ პერიოდში უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის მატებით გამოწვეული ქირის გადასახადის ზრდის ეფექტის შემცირებით იყო გამოწვეული. ზემოთ ჩამოთვლილმა ფაქტორებმა ხელი შეუწყო ინფლაციის მაჩვენებლის დასტაბილურებასა და ქვეყნის მონეტარულ მიზნებთან დაახლოებას [\(სებ, მაისი 2024\)](#).

2023 წლის მეორე კვარტალში უმუშევრობის გაზრდილ მაჩვენებელთან შედარებით (16.7%), 2024 წლის მეორე კვარტალში უმუშევრობის დონე 13.7%-მდე დაეცა. [\(საქსტატი\)](#). სამუშაო ძალის წლიური მაჩვენებელი 1.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 54.5% შეადგინა. [საქსტატის წინასწარ პროგნოზზე](#) დაყრდნობით, 2024 წლის 1-ელ კვარტალში საშუალო თვიური ნომინალური შემოსავალი 2004.9 ქართულ ლარს შეადგენს.

საერთო ჯამში, **2024 წლის მეორე კვარტალში საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი სტაბილურად იზრდებოდა. საგრძნობლად გაიზარდა ნომინალური მშპ და მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებელი. დადებითი ტენდენცია შეინიშნება უძრავი ქონების, განათლების და საჯარო**



მმართველობის სექტორებში. უცხოეთის მხრიდან მოთხოვნის შემცირების მიუხედავად, ადგილობრივი მოთხოვნა კვლავ მაღალია, ქართული ლარი გამყარდა, რასაც ხელი შეუწყო ეკონომიკის დარგში არსებულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა და საქართველოს სტრატეგიულმა პოზიციამ რეგიონული ვაჭრობის დარგში.

ინფლაცია

წლის დასაწყისში საქართველოში ინფლაციის მაჩვენებელი მოსალოდნელ მიზნობრივ მაჩვენებელსა და მანამდე პროგნოზირებულ მაჩვენებლებზე დაბალი იყო ([საქსტატი](#)). ამ ტენდენციამ ინფლაციური მოლოდინების და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირება, აგრეთვე ლარის რეალური გაცვლითი კურსის გამყარება განაპირობა. უკანასკნელი პროგნოზის თანახმად, 2024 წელს ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი **1.9%** იქნება, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა პროგნოზების მაჩვენებლებს. ამის მიუხედავად, მოსალოდნელია, რომ შენარჩუნდება არსებული ეკონომიკური მაჩვენებლები და წლის განმავლობაში მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი **6.8%**-ს მიაღწევს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციური მოლოდინების შემცირების გამო მონეტარული და საკრედიტო პოლიტიკის ნორმალიზაციის საწყისი ეტაპები დაჩქარდა, მოსალოდნელია, რომ ეს პროცესი საკმაოდ ფრთხილი იქნება. ამგვარი მიდგომა განპირობებულია გაზრდილი მოთხოვნით და არსებული ბუნდოვანებით როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ გეოპოლიტიკურ ასპარეზზე, რის შედეგადაც, შესაძლოა ინფლაციის დონემ პროგნოზირებულ მაჩვენებლებს გადააჭარბოს ([სებ, მაისი 2024](#)).

ინფლაციის დინამიკისა და ბაზრის მოლოდინების შესასწავლად, ზოგადი ინფლაციის მაჩვენებელზე დაკვირვების გარდა, მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ატლანტას ფედერალური სარეზერვო ბანკის მიერ შემუშავებული არასავაჭრო საქონლის ფასების ინდექსი (NTSPI). NTSPI ინდექსის თანახმად, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ არამოქნილი ფასების მქონე საქონელსა და მომსახურებებზე 2024 წლის მე-2 კვარტალში 3.22% შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციის საერთო მაჩვენებელი შედარებით დაბალია, NTSPI ინდექსი სცდება მიზნობრივ მაჩვენებელს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ინფლაციის მაჩვენებელი სამიზნე მაჩვენებელზე ზემოთ იქნება ([სებ](#)).

2024 წლის მეორე კვარტალში, გასულ წელთან შედარებით, ქართული ლარი გამყარდა, რაც ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსის ზრდით იყო განპირობებული. აღნიშნული დაბალანსდა საქართველოში სხვა სავაჭრო პარტნიორებთან შედარებით სამომხმარებლო ფასების უფრო ნაკლები ზრდით, რაც ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობაზე პოტენციურ უარყოფით ზეგავლენას ამცირებს.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის მეორე კვარტალში, ლარი გასულ წელთან შედარებით, ყველა სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის ვალუტასთან მიმართებით გაუფასურდა. აღნიშნულის მიზეზად განიხილება არა მხოლოდ მოკლევადიანი ციკლური ფაქტორები, არამედ მიმდინარე ანგარიშის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები, განსაკუთრებით 2022 წელს, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დაწყების შემდეგ. ეს ცვლილებები გამოიხატება საქართველოდან მომსახურების ექსპორტის ზრდაშიც, განსაკუთრებით ინფორმაციულ, კომპიუტერულ და სატრანსპორტო სექტორებში, რაც ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების შემოდინებას და ქვეყნის, როგორც საკვანძო სატრანზიტო ჰაბის ფუნქციის შესრულებას შუა დერეფანში. ამ სტრატეგიულმა პოზიციამ



გამოიწვია ტვირთბრუნვისა და ლოგისტიკური მომსახურებების ექსპორტის შესამჩნევი ზრდა საქართველოს მასშტაბით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ლარის კურსის დასტაბილურების პროცესში შესაძლოა საერთოდ არ მოხდეს ნომინალური გაცვლითი კურსის საგრძნობი გაუფასურება.

2024 წლის მეორე კვარტალში, ვალუტის კურსის ცვლილებების შედეგად, ლარი აშშ დოლართან მიმართებით 2.6%-ით, რუსულ რუბლთან – 3.0%, ხოლო ევროსთან – 1.7%-ით გაუფასურდა. თურქულ ლირასთან მიმართებით ლარი 2.6%-ით გამყარდა. საერთო ჯამში, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კვარტალურ ჭრილში 1.5%-ით გაუფასურდა, ხოლო წლიურ ჭრილში 4.6%-ით გამყარდა. რაც შეეხება რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსს, ის კვარტალურ ჭრილში 1.3%-ით, ხოლო წლიურ ჭრილში 6.2%-ით გაუფასურდა (სებ, მაისი 2024).

2024 წლის მე-2 კვარტალში, საქართველოს მონეტარული პოლიტიკის შედეგად ადგილობრივ ვალუტაში საპროცენტო განაკვეთები შემცირდა. ეროვნულ ვალუტაში **დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი 0.2 პროცენტული პუნქტით** შემცირდა და **10.3%** შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი **2.4%-მდე** გაიზარდა. შემცირდა **სესხების მაჩვენებელიც**: შემცირდა იპოთეკური და ბიზნეს სესხები ეროვნულ ვალუტაში, რაც განპირობებული იყო მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირებით. ბიზნეს სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთი მანამდე არსებული **11.8%-იდან 1.94 პროცენტული პუნქტით** შემცირდა.

2023 წელს გლობალური ფინანსური გამოწვევების ფონზე უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო განაკვეთის ზრდის მიუხედავად, 2024 წელს შემცირების ტენდენცია დაფიქსირდა. შემცირდა განსხვავება ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო განაკვეთებს შორის. პოლიტიკის შემსუბუქების შემდეგ, მაისში, სამომხმარებლო, ბიზნეს და იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა. 2024 წლის მე-2 კვარტალში გაიზარდა მოთხოვნა ბიზნეს სესხებზე, ხოლო ეროვნულ ვალუტაში ამ ტიპის სესხების პირობები შემსუბუქდა. თუმცა უცხოურ ვალუტაში არსებულ ბიზნეს სესხების პირობები მცირედით გამკაცრდა. საბანკო სექტორში მომავალ კვარტალში მოსალოდნელია სესხის პირობების შემსუბუქება როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში სესხების შემთხვევაში.

საქართველოს მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შედეგად, გასული წლის შემდეგ შემცირდა ინფლაციური მოლოდინები, ხოლო ინფლაციის მაჩვენებელი სამიზნე 3%-ს მიუახლოვდა. ივნისში ინფლაციის მაჩვენებელი 2.8%-ს შეადგენდა, რაც მეტწილად გრძელვადიანი ფაქტორებითა და მოლოდინებით იყო განპირობებული. ცვლილებაში 1.9-პროცენტის წვლილი შეიტანა მომსახურების ფასების შემცირებამ, რამაც ხელი შეუწყო ინფლაციის ზოგადი მაჩვენებლის შემცირებასაც.

იმპორტირებული საქონლის ფასები, რომელიც 2023 წლის დასაწყისიდან მცირდებოდა და ინფლაციის იმპორტის კომპონენტის შემცირებას უწყობდა ხელს, ივნისში 3.3%-ით გაიზარდა, რაც მეტწილად საწვავის გაძვირებით იყო გამოწვეული. ტრანსპორტირების ხარჯები წინა წლის ბოლოს წითელი ზღვის კრიზისის შედეგად გაიზარდა, შემდეგ სტაბილურად მცირდებოდა აპრილის ბოლომდე, თუმცა მაისის დასაწყისში კვლავ დაიწყო ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ შემცირდა იმ სატრანსპორტო ხარჯების უშუალო რისკი, რომლებიც პროდუქტის ფასებზე ახდენს ზეგავლენას, ფასების ზრდა გადაზიდვების სფეროში შემფოთების საგანია იმდენად, რამდენადაც შესაძლოა



მომავალში ხელი შეუწყოს ინფლაციის მაჩვენებლის ზრდას ([სებ, მაისი 2024](#)).

საგარეო სექტორი: ვაჭრობა, ტურიზმი, ფულადი გზავნილები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2024 წლის დასაწყისში არსებულმა დაბალმა საგარეო მოთხოვნამ გარედან შემოდინებული ფულადი სახსრების და ადგილობრივი ექსპორტის შემცირება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, უცხოური ვალუტის გაზრდილმა შემოდინებამ დადებითი გავლენა იქონია მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე. მე-2 კვარტალში შემცირდა მოთხოვნა ავტომობილებზე, აგრეთვე მათი რეექსპორტი, რამაც ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლის შემცირება გამოიწვია. შემცირდა ექსპორტის ხარჯები და სტრუქტურულმა ეკონომიკურმა ცვლილებებმა დადებითი გავლენა იქონია მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე, მეტწილად სატრანსპორტო სექტორში მომსახურების ექსპორტის გაზრდით, რაც განპირობებული იყო როგორც შუა დერეფნის ქვეყნის როლის გაძლიერებით. საინფორმაციო და კომპიუტერული მომსახურებების ექსპორტის შემცირების მიუხედავად, აღნიშნულმა სექტორებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საექსპორტო შემოსავალში. შედეგად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2023 წელს ისტორიულ მინიმუმამდე, მშპ-ის 4.3%-მდე გაუმჯობესდა.

2024 წლის მეორე კვარტალში, ავტომობილებზე საგარეო მოთხოვნის და სპილენძის რეექსპორტის შემცირებამ საქართველოს საქონლის ექსპორტის მთლიანი მაჩვენებლის შემცირება გამოიწვია. მთლიანობაში, საქონლის ექსპორტის რეალური მაჩვენებელი 4.4%-ით, ხოლო ნომინალური მაჩვენებელი 2.2%-ით შემცირდა. აღნიშნული შემცირება უმეტესად განპირობებული იყო შუალედური საქონლის ექსპორტის, განსაკუთრებით კი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების რეექსპორტის შემცირებით, რაც ჩინეთის სამშენებლო სექტორში არსებული შეფერხებით განპირობებულმა შემცირებულმა მოთხოვნამ გამოიწვია. ფასის ვარდნის შედეგად დაბალი იყო ფეროშენადნობების ექსპორტის მაჩვენებელიც, მცირე გაყიდვები განხორციელდა თურქეთში, ეგვიპტესა და აშშ-ში. შემცირდა ქიმიური და მინერალური სასუქების ექსპორტიც ინდოეთსა და პერუში.

ამის საპირისპიროდ, სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის შემცირების მიუხედავად, მცირედით გაიზარდა მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი, განსაკუთრებით ცენტრალური აზიის ქვეყნებში. გარდა ამისა, გაიზარდა ნატურალური ყურძნის ღვინოების, ალკოჰოლური სასმელების, მინერალური წყლებისა და მედიკამენტების ექსპორტი. შემცირდა საინვესტიციო საქონლის ექსპორტი, რაც მეტწილად საქონლის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ავტომობილებისა და მონაცემთა ავტომატური დამუშავების დანადგარების ექსპორტის შემცირებით იყო გამოწვეული ([საქსტატი](#)).

2024 წლის მე-2 კვარტალში, გასულ წელთან შედარებით, საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვი **4.6%**-ით გაიზარდა, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი კვლავ **19.3%**-ით ჩამოუვარდება პანდემიამდელ მაჩვენებელს. 2022 წელს, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დაწყების შემდეგ, რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან ვიზიტორთა გაზრდილმა შემოდინებამ კლება დაიწყო. მიგრანტების შემოდინების შემცირება დააბალანსა ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან, ასევე თურქეთიდან და ყაზახეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ. მიუხედავად უცხოელი ვიზიტორების გაზრდილი შემოდინებისა, საერთაშორისო მოგზაურობების შედეგად



მიღებული შემოსავალი ზომიერად, **8.1%-ით** გაიზარდა და **1,091 მლნ აშშ დოლარს** მიაღწია ([GNTA, 2024](#)).

2024 წლის 1-ელ კვარტალში, საქართველომ სწრაფი ფულადი გზავნილების სახით 844 მლნ აშშ დოლარი მიიღო, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 24.5%-ით ნაკლებია ([სებ](#)). ამგვარი შემცირება საბაზო ეფექტითა და რუსეთიდან ფულადი გზავნილების შემცირებით არის გამოწვეული. გადმორიცხვების საწყისი ზრდა, რომელიც ერთჯერადი მიგრაციის ტალღას უკავშირდებოდა, შემცირდა. თუმცა, რუსეთიდან ფულადი გზავნილების შემცირების მიუხედავად, გაიზარდა ფულადი გზავნილების რიცხვი სხვა ქვეყნებიდან, განსაკუთრებით კი აშშ-დან, ისრაელიდან და ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან, რაც აღნიშნულ რეგიონებში გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობით იყო განპირობებული.

თავდაპირველი ვარდნის მიუხედავად, 2024 წლის მე-2 კვარტალში გაიზარდა მოთხოვნა იმპორტირებულ საქონელზე. იმპორტის ნომინალური მაჩვენებელი 1.9%-ით გაიზარდა, ხოლო რეალური მაჩვენებელი 6.2%-ით შემცირდა. ამავდროულად, რეექსპორტის მიზნით შექმნილი ავტომობილების რიცხვის მკვეთრმა შემცირებამ მთლიანი იმპორტის მაჩვენებლის ზრდის შენელება გამოიწვია ([სებ, ივლისი 2024](#)).

2024 წლის მე-2 კვარტალში საქართველოს იმპორტის სექტორში მნიშვნელოვანი კლება შუალედური საქონლის კატეგორიაში დაფიქსირდა, რაც იმპორტის საერთო კლების მთავარი ფაქტორი გახდა. ეს ძირითადად სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ასევე ნავთობის გაზების იმპორტისა და რეექსპორტის შემცირებით იყო გამოწვეული. შესამჩნევი იყო სომხეთიდან რეექსპორტის მიზნით სპილენძის მადნების იმპორტის შემცირება. სამომხმარებლო საქონლის, განსაკუთრებით ავტომობილების შესყიდვის შემცირების მიუხედავად, ამ კატეგორიაში იმპორტის მაჩვენებელი გაიზარდა. შესყიდვების შემცირებაზე გავლენა იქონია როგორც რეექსპორტის შემცირებამ, ასევე დაწესებულმა ახალმა რეგულაციებმა. ევრო 5-ის სტანდარტების დანერგვამ, რომელთა თანახმადაც იკრძალება 2013 წლამდე წარმოებული ავტომობილების იმპორტი, ასეთი ტიპის ავტომობილებზე მოთხოვნის შემცირება გამოიწვია, როდესაც მანამდე ამგვარი ავტომობილების იმპორტი მთლიანი ავტომობილების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. ამის საპირისპიროდ, გაიზარდა საინვესტიციო საქონლის იმპორტი, რაც სატრანსპორტო და სპეციალური ტიპის, აგრეთვე რეექსპორტისთვის განკუთვნილი ავტომობილების შესყიდვის გაზრდილი მაჩვენებლით იყო განპირობებული ([საქსტატი](#)).

2024 წელს, იმპორტის შემცირების მიუხედავად, საქართველოს სავაჭრო დეფიციტი გაიზარდა, რადგან კიდევ უფრო მეტად შემცირდა საქონლის ექსპორტის მაჩვენებელი. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნიდან განხორციელებული მომსახურების ექსპორტი, რაც განპირობებული იყო საერთაშორისო ვაჭრობიდან მიღებული დიდი შემოსავლით და სტრუქტურული ცვლილებებით მომსახურების სფეროში, განსაკუთრებით კი ტრანსპორტირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული მომსახურებების სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ ხელფასების ზრდის მაჩვენებელი არც თუ ისე მაღალი იყო, დასაქმებულთა ანაზღაურება კვლავ მაღალი დარჩა, რამაც ხელი შეუწყო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებას ისტორიულ მინიმუმამდე და მშპ-ის 5.0% შეადგინა.

2024 წლის 1-ელ კვარტალში საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების



ძირითადი წყარო გრძელვადიანი სესხები იყო. ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) ნაკადი ნაკლებად იყო მიმართული დეფიციტის დაფინანსებაზე. შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 10%-ით გაიზარდა და 0.57 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც დაახლოებით ქვეყნის მშპ-ის 2.6%-ს შეადგენდა. ეს ზრდა ძირითადად სავალო ინსტრუმენტებისა და კაპიტალის ზრდით იყო განპირობებული. 2023 წელს შემცირდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, რაც დიდწილად განპირობებული იყო დანაზოვის ზრდით, მიუხედავად იმისა, რომ განხორციელებული ინვესტიციების მაჩვენებელი არც თუ ისე მაღალი იყო ([საქსტატი](#)).

საგარო ფინანსები

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე სამთავრობო ხარჯებმა 2024 წლის მე-2 კვარტალში 4,794.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 17.5%-ით აღემატება. ამგვარი ზრდა ძირითადად განპირობებული იყო სოციალურ შეღავათებსა (+14.9% წ/წ) და საქონლისა და სერვისების გამოყენებაზე (+23.3% წ/წ) გაწეული ხარჯებით. საპროცენტო ხარჯის ზრდის მაჩვენებელი წლიურ +28.8%-ს, ხოლო გრანტების სახით გაცემული ხარჯების ზრდის მაჩვენებელი წლიურ 44.2%-ს შეადგენდა.

ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი შემოსავალი წლიური 13.7%-ით გაიზარდა და 5,308.9 მლნ ლარი შეადგინა. ეს ზრდა განპირობებული იყო დამატებული ღირებულების გადასახადის (დ.ღ.გ.) შემოსავლის 10.1%-ით, პირადი შემოსავლის გადასახადის 23.6%-ით და აქციზის გადასახადის 25.4%-ით ზრდით. 2024 წლის მე-2 კვარტალში ბიუჯეტის დეფიციტმა 365.9 მლნ ლარი შეადგინა, (მშპ-ის 1.7%), რაც დიდად არ განსხვავდება წინა წლის მაჩვენებლისგან ([საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2024](#)).

2024 წლის მე-2 კვარტალში ენტრალური მთავრობის სავალო ვალდებულებები (რომელიც მოიცავს როგორც საშინაო, ისე საგარეო ვალს) წინა წელთან შედარებით 11.8%-ით გაიზარდა და 32,388.7 მლნ ლარი შეადგინა. გარდა ამისა, საგარეო ვალის წილი მთლიან ვალში კვლავ 73%-ს შეადგენდა, რაც მცირედით ამცირებს ქვეყნის მოწყვლადობას გაცვლითი კურსის მერყეობის მიმართ.